

დაუყოვნებლივ გამოქვეყნებისთვის

საკონტაქტო პირი: თეონა ყუფუნია, NDI საქართველოს
პროგრამის ხელმძღვანელი
(+995) 577 719134; tkupunia@ndi.org

23 სექტემბერი, 2013

NDI-ის კვლევის შედეგების მიხედვით მოსახლეობა მიიჩნევს, რომ არსებული ხელისუფლება მათთვის მნიშვნელოვან ცვლილებებს ახორციელებს; თუმცა არ ამართლებენ პრემიერ მინისტრის განცხადებას გადადგომის შესახებ

თბილისი – ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგები დღეს გახდა ცნობილი. კვლევის თანახმად, გამოკითხულთა 63 პროცენტი სამუშაო ადგილებს, ეროვნული მნიშვნელობის საკითხებს შორის, პირველ ადგილას, ხოლო 46 პროცენტი ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხებიდან პირველ ადგილზე კომუნალური მომსახურების ღირებულებას ასახელებს.

გამოკითხულთა 39 პროცენტი მიიჩნევს, რომ საქართველო სწორი მიმართულებით ვითარდება 16 პროცენტთან შედარებით, ვინც ასე არ ფიქრობს. 71 პროცენტი, განსხვავებით 18 პროცენტისგან, ნეგატიურად აფასებს პრემიერ მინისტრი ბიძინა ივანიშვილის განცხადებას, რომ იგი 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ მალევე გადადგება. გამოკითხულთა 51 პროცენტი არ არის ინფორმირებული საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით მიმდინარე განხილვების შესახებ.

მიუხედავად იმისა, რომ იმ რესპონდენტების რაოდენობა, ვინც თავს დასაქმებულად მიიჩნევს 35 პროცენტამდე გაიზარდა, გამოკითხულები მაინც თვლიან, რომ 2012 წლის ოქტომბრის შემდეგ ქვეყანაში სამუშაო ადგილების რაოდენობა იგივე დარჩა ან შემცირდა. ასევე, გამოკითხულები მიიჩნევენ, რომ 2012 წლის ოქტომბრის შემდეგ ქვეყანაში კრიმინალის დონე იგივე დარჩა ან გაიზარდა. მიუხედავად ამისა, 64 პროცენტი, 30 პროცენტისგან განსხვავებით, მიიჩნევს, რომ არსებული ხელისუფლება მათთვის მნიშვნელოვან ცვლილებებს ახორციელებს.

NDI-ის ივნისის კვლევასთან შედარებით ([NDI-ის საზოგადოებრივი აზრის კვლევა 2013 ივნისი](#)), იმ რესპონდენტების რაოდენობა, ვინც კითხვაზე, არის თუ არა საქართველოში დემოკრატია, უპასუხა „დიახ“, 38 პროცენტიდან 44 პროცენტამდე გაიზარდა, ხოლო 77 პროცენტი მიიჩნევს, რომ არჩევნები ძალიან კარგად ან მეტნაკლებად კარგად ჩატარდება.

გამოკითხულთა 70 პროცენტი უკმაყოფილოა რუსეთთან ამჟამინდელი ურთიერთობით, მაშინ როდესაც რესპონდენტთა 73 პროცენტი დადებითად აფასებს საქართველოს მთავრობის გაცხადებულ მიზანს, გახდეს ნატოს წევრი და 81 პროცენტი დადებითად აფასებს საქართველოს მთავრობის გაცხადებულ მიზანს გახდეს ევროკავშირის წევრი.

„ეროვნული მნიშვნელობის საკითხებიდან სამუშაო ადგილები კვლავ პირველ ადგილს იკავებს გამოკითხულთა შორის. რესპონდენტები მიიჩნევენ, რომ 2012 წლის ოქტომბრის შემდეგ ხელმისაწვდომი სამუშაო ადგილების რაოდენობა იგივე დარჩა ან შემცირდა. ასევე, გამოკითხულები მიიჩნევენ, რომ იგივე პერიოდში კრიმინალის დონე ქვეყანაში იგივე დარჩა ან გაიზარდა. თუმცა, ორი ერთთან შეფარდებით, გამოკითხულები მიიჩნევენ, რომ არსებული ხელისუფლება მათთვის მნიშვნელოვან ცვლილებებს ახორციელებს“, - ამბობს NDI საქართველოს დირექტორი, ლუის ნავარო. „გამოკითხულთა უმრავლესობა არ ამართლებს პრემიერ მინისტრის განცხადებას იმის შესახებ, რომ იგი საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ მალევე გადადგება, ასევე უმრავლესობას არ მოსწონს საქართველოს ამჟამინდელი ურთიერთობა რუსეთთან. თუმცა, რესპონდენტთან უმეტესობა მიესალმება საქართველოს მთავრობის გაცხადებულ მიზანს გახდეს ნატოსა და ევროკავშირის წევრი; აგრეთვე გამოკითხულთა უმეტესობა პოზიტიურად აფასებს მომავალ არჩევნებს.“

კვლევა ამა წლის 18 აგვისტოდან 3 სექტემბრის პერიოდში, საქართველოს მასშტაბით 3,838 პირისპირ ინტერვიუს წარმომადგენლობითი შერჩევის საფუძველზე ქართულენოვან მოსახლეობას შორის ჩატარდა. მასში ასახულია მოსახლეობისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხები, ასევე მოსახლეობის დამოკიდებულება დემოკრატიის,

455 Massachusetts Avenue, NW, 8th Floor
Washington, DC 20001
(202) 728-5500
fax: (888) 875-2887
mail: contactndi@ndi.org
www.ndi.org

რეფორმების და საგარეო თუ საშინაო პოლიტიკის საკითხების მიმართ. კვლევაში საშუალო ცდომილების ზღვარი არის +/- 2%.

NDI-ის კვლევებს აფინანსებს შვედეთის საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარების სააგენტო (Sida) და ატარებს კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი (CRRC).

-დასასრული-

NDI არის არამომგებიანი ორგანიზაცია, რომელიც მუშაობს დემოკრატიის განმტკიცებისა და გავრცელებისთვის მსოფლიოში. NDI მუშაობს დემოკრატებთან მსოფლიოს ყველა რეგიონში, რათა გააძლიეროს პოლიტიკური და სამოქალაქო ორგანიზაციები, ხელი შეუწყოს არჩევნების სამართლიანად ჩატარებას, მოქალაქეების აქტიურ მონაწილეობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში და მთავრობის ანგარიშვალდებულებას. დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ ვებ-გვერდზე www.ndi.org